

განათლება+

№1 (4592) 29 იანვარი 2020 წელი გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი

ალეოზ მიზანდარის სახელობის ხელოვნების პირველი სკოლა - 145

მზრდელი მუსიკალური ხელოვნების კორიფეებისა

ახლახან 145 წელი შესრულდა ქართული პროფესიული სამუსიკო საგანმანათლებლო კერის დაბადებიდან, კერძოდ, 1874 წელს ევროპიდან დაბრუნებულმა პირველმა ქართველმა კომპოზიტორმა, საერთაშორისო მნიშვნელობის პირველმა ქართველმა პიანისტმა, ქართული საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებელმა **ალეოზ მიზანდარმა** (1837-1912), პირველმა პროფესიონალმა მომღერალმა **ხარლამში სავანელმა** (1842-1890) და პიანისტ-მეცენატმა **კონსტანტინე ალიხანოვმა** (1848-1931) თბილისში დაარსეს სამუსიკო სკოლა, რომელსაც წილად ხვდა ისტორიული მისია, გამხდარიყო მუსიკალური კულტურის აკვანი მთელ კავკასიაში.

1886 წელს სამუსიკო სკოლა გადაკეთდა სამუსიკო სასწავლებლად, ხოლო 1917 წლის 1 მაისს მას მიენიჭა სახელმწიფო კონსერვატორიის სტატუსი.

წლიანი გაჭირვების პერიოდი.

2000 წელს, სკოლის დირექტორის ბ-ნ **ნუგზარ მირზაშვილის** ძალისხმევით, სკოლას გადაეცა შენობა ჩუბინაშვილის ქუჩაზე, სადაც მოგვიანებით ასევე დაბინავდა კონსერვატორიის სამუსიკო სემინარია. რადგან ორი სამუსიკო დაწესებულების ერთ შენობაში არსებობა მიზანშეწონილი არ იყო, ამიტომ, 2015 წელს სკოლის დირექტორმა ქ-ნმა **მანონ ბუაძემ** სკოლას მოუპოვა ახალი შენობა, ოპერის წინ, რუსთაველის გამზირი N28/აღ. ჭავჭავაძის ქუჩა №2.

დღეს, სკოლას ხელმძღვანელობს დირიჟორი ბ-ნი **გელა ფარჩუკიძე**, მან სკოლას ახალი სივრცე შემატა - ქალაქ თბილისის მერიის თანადგომით შექმნა ყველასათვის ცნობილი „**თბილისის ბავშვთა კაპელა**“, რომელიც ახლახან გახდა „**ქართული ბრენდი 2019**“-ის საპატიო მფლობელი. სკოლის საიუბილეო თარიღ-

რებული პროფესორის, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის, პიანისტ **მაია ჯინჭველაშვილის** მოსწავლეები: **მარია ჩახაია** და **მარიამ ლანიაშვილი**, ხელოვნების დოქტორის, ასოცირებულ პროფესორ **ანა არველაძის** მოსწავლეები და **ანა** და **ლუკა გურჩიანები**, ქეთევან თავშავაძის მოსწავლე **ნიკოლოზ ლომიაშვილი**. **ნატალია ბარდაველიძის** მოსწავლე **მარია-ელენე ბეჟაშვილი**, **ფატმან ნიჟარაძის** მოსწავლე **ელენე ზაალიშვილი**, კონცერტმასტრები **ნინა გვასალია-ხოშტარია** და **გოგინა შეყრილაძე**.

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ინსტრუმენტალურმა ტრიომ, რომლის წევრებიც ასევე არიან სკოლის წამყვანი პედაგოგები **ქეთევან თავშავაძე**, **ია ბახტაძე** და **მაია ჯინჭველაშვილი** დიდი წარმატებით შეასრულა თანამედროვე ქართველი კომპოზი-

წარმოადგინა იმპროვიზაცია-მიძღვნა.

სკოლის დირექტორის მოადგილემ, პიანისტმა **თინათინ ცაგარეიშვილმა** შეასრულა 1867 წელს ვენაში დაწერილი **ალეოზ მიზანდარის** საფორტეპიანო პიესა „**ნუთიერი ფიქრები მეგობარზე**“, რომლის ავტოგრაფიც დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში და ქრონოლოგიურად ქართული საფორტეპიანო მუსიკის პირველ ნიმუშს წარმოადგენს.

მეორე განყოფილებაში მსმენელის წინაშე წარდგა „**თბილისის ბავშვთა კაპელა**“. მასეტრო **გელა ფარჩუკიძის** ხელმძღვანელობით. გუნდს აკომპანირებს უწევდა მე-19 და მე-20 მუსიკალური სკოლების მოსწავლეებისგან დაკომპლექტებული ორკესტრი და სპეციალურად სალამოსთვის შექმნილი მშობელთა და მოსწავლეთა როკ-



ცენტრალური ნაწილი გახლდათ სცენები **ენდრიუ ლიოდ ვებერის** როკ-ოპერადან „**იესო ქრისტე სუპერგარსკვლავი**“, რომელიც საქართველოში ასეთი მასშტაბით პირველად შესრულდა. ნამდვილად შთამბეჭდავი საღამო გამოვიდა!

25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული მეორე კონცერტი, მასეტრო **გელა ფარჩუკიძემ** სკოლის პედაგოგებს **ნატალია ბარდაველიძეს**, **ანა არველაძეს**, **მარინე ალიაშვილს**, **ლილი ლეზგიშვილს**, **მარინე სამხარაძეს**, **ლიკა მაჭარაძეს**, **ია ქიტუაშვილს**, **მანანა ალფაიძეს**, **ანგელინა ნამგალაძეს**, **გოგინა შეყრილაძეს**, **ფატმან ნიჟარაძეს**, **თინათინ ცაგარეიშვილს**, **ია ბახტაძეს**, **ქეთევან თავშავაძეს**, **მაია ჯინჭველაშვილს**, **თინათინ ვაზაგაშვილს**, **ბაია გრიგოლიას**, **ნინა გვასალია-ხოშტარიას**, **ლიანა პეტრიაშვილს**, **ვლადიმერ ედილაშვილს**, **ბიქტორ კიკაჩიშვილს** გადასცა თბილისის მერიის სიგელები, ბავშვთა აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, რითაც კიდევ ერთხელ აღინიშნა პედაგოგთა უანგარო თავდადება ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში (სიგელი მიიღო თავად მასეტრომაც). ხოლო პედაგოგებს **ლილი ლეზგიშვილს**, **ვლადიმერ ედილაშვილს**, და **მარინე ალიაშვილს** მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის მიანიჭა „**საპატიო მიზანდარელის**“ წოდება. პირველად ეს წოდება შარშან მიიღო პედ. **ლიანა პეტრიაშვილმა**, ხოლო მეორედ ან გარდაცვლილმა პედაგოგმა ქ-ნმა **ირინე ფიცხელაურმა**.



რადგან სასწავლებელი კონსერვატორიად გარდაიქმნა, საჭირო გახდა დაწყებითი საფეხურის — სამუსიკო სკოლის გახსნა, ამიტომ კონსერვატორიამ იმავე წელს თავისივე ბაზაზე შექმნა სამუსიკო სკოლა, რომელსაც მოგვიანებით, 1976 წელს **ალეოზ მიზანდარის** სახელი ეწოდა. ამ პერიოდში სკოლას ხელმძღვანელობდნენ შესანიშნავი მამულიშვილები, მაღალი რანგის პროფესიონალები და ღვაწლმოსილი დირექტორები: **ელენე ქიქოძე**, **პ. ახალკაცი**, **ლია ავალიშვილი**.

90-იანი წლების სახელმწიფო გადატრიალების დროს ენგელსის ქუჩაზე არსებული სკოლის შენობა დაინვა, რასაც მოჰყვა 8

თან დაკავშირებით, 13 დეკემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ სკოლის ლაურეატი მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და სკოლის მეგობრები. პირველი ნაწილი დაეთმო კამერულ-ინსტრუმენტულ და ვოკალურ უანრებს, მსმენელის წინაშე წარდგნენ პედაგოგების: **ლიანა პეტრიაშვილის** მოსწავლე **საბა რობაქიძე**, **ბიქტორ კიკაჩიშვილის** მოსწავლე **ცოტნე ჭრიკიშვილი**, **ბაია გრიგოლიას** მოსწავლეები **ანანო ჩხეიძე** და **ნიკოლოზ როსტიაშვილი**, **ია ბახტაძის** მოსწავლეები **ანა დადელიშვილი** და **მარია-ელენე ბეჟაშვილი**, სამუსიკო ხელოვნების ასოცი-

ტორების **ვაჟა აზარაშვილის**, **გოგა შავერზაშვილის**, **კახა ცაბაძის**, **მანანა ალფაიძისა** (და ჩემი ლ.მ.) ნაწარმოებები.

პუბლიკა დიდი ოვაციებით



კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ინსტრუმენტალური ტრიო

შეეგება კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე **გოგა შავერზაშვილს**, რომელმაც თავად

ფარჩუკიძე, ხოლო დასარტყამ ინსტრუმენტზე („georgian drum school“-ის) მოსწავლე **თემურ ივანიშვილი**. მუსიკოსთა არმიის მრავალფეროვანი რეპერტუარის

მზრდელი მუსიკალური ხელოვნების კორიფაებისა

პირველი გვერდიდან

მსმენელის წინაშე სოლო, ვოკალური და ინსტრუმენტული დუეტებითა და ანსამბლებით წარდგენენ პედაგოგ ნატალია ბარდაველიძის ლაურეატი მოსწავლეები ელენე-მარია ბეჟაშვილი, ანა-მარია ხუციშვილი და ლუკა ექვთიმიშვილი, პედ. ლიანა პეტრიაშვილის მოსწავლეები ბარბარე თორია (ლაურეატი) და თინათინ ქავთარაძე, პედ. მარინე ალიაშვილის მოსწავლე გიორგი მუჟაანაძე, პედ. ბაია გრიგოლიას ლაურეატი მოსწავლე გიორგი ქობალავა, პედ. ლალი ლეზიშვილის მოსწავლეები სანდრო წურნუშია და მარიამ ცინცაძე, პედ. მარინე სამხარაძის მოსწავლე ანასტასია ზალისკო, პედ. ია ბახტაძის მოსწავლე ანასტასია ოსეფაიშვილი, პედ. თინათინ ცაგარეიშვილის ლაურეატი მოსწავლეები მარიამ ალიბეგაშვილი და ლევან მუსერიძე, პედ. მაია ჯინჭველაშვილის მოსწავლეები მარიამ მისისურაძე, სანდრო ედიშერაშვილი (ლაურეატი) და მართა ჩახაია, პედ. თამარ ლობჯანიძის მოსწავლე თამაზ სახელაშვილი, პედ. ქეთევან თავაშვილის მოსწავლეები გიორგი ბაქრაძე და ნიკოლოზ ლომიაშვილი (ლაურეატი), პედ. ელენე ჯანჯალიას მოსწავლეები ქეთევან მალაქელიძე და გიორგი ტასაშვილი (ლაურეატი), პედ. გოგინა შეყრილაძის მოსწავლეები ანა ბარათაშვილი და ანრი კორძია, პედ. ბიქტორ კიკაჩიშვილის ლაურეატი მოსწავლე ცოტნე ჭრიკიშვილი, პედ. ნინა გვასალია-ხოშტარია, გოგინა შეყრილაძე, ქეთევან თავაშვილი და მაია ჯინჭველაშვილი.

კონცერტზე ია ბახტაძემ და მაია ჯინჭველაშვილმა შეასრულეს სპეციალურად ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის ჩემ მიერ გადატანილი ა. მიზანდარის პიესა „აღმოსავლური მელოდია“. ხოლო საღამოს წამყვანმა სკოლის დირექტორის მოადგილემ, პიანისტმა თინათინ ცაგა-



1904 წელი, მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი და პედაგოგები, ცენტრში სხედან ალიოზ მიზანდარი, ნიკოლაი ნიკოლაიშვილი, ანა თუშაშვილი, პირველ რიგში მარცხენა მხარეს ზაქარია ფალიაშვილი.

რეჟიმმა ახალი რედაქციით წარმოგვიდგინა ა. მიზანდარის საფორტეპიანო პიესა „ნუთიერი ფიქრები მეგობარზე“.

სკოლის ტრადიციის თანახმად, მსმენელის წინაშე წარდგა კურსდამთავრებული, ამჯერად ლაურეატი თამარ ექვთიმიშვილი. საღამომ თბილ, ოჯახურ ატმოსფეროში ჩაიარა.

ორივე კონცერტმა ნათლად დაგვანახა, რომ ალიოზ მიზანდარის დაწყებულ საქმეს კეთილსინდისიერად აგრძელებენ თავიანთ საქმეზე შეყვარებული ენთუზიასტი მასწავლებლები, რომლებიც უდიდესი შრომის ფასად ცდილობენ აღზარდონ არა მარტო მომავალი მუსიკოსები, არამედ ადამიანები და ნამდვილი მოქალაქეები.

სკოლას ბოლო წლებში პედაგოგების რანგში შეემატნენ ნიჭიერი მუსიკოსები: თამარ ლობჯანიძე, ელენე ჯანჯალია, იულია პეტრიჩენკო, მარიამ ფერიაშვილი, კომპოზიტორი ნინო ომიძე, თონა გოდუაძე, თეა დუმბაძე, ვანე ლალიაშვილი.

სკოლაში ფუნქციონირებს თეატრალური წრე დოდო ქარდავას ხელმძღვანელობით, ასევე სამხატვრო წრე - ხელმძღვ. პედაგოგი ირინე დონაძე.

სკოლის ტექნიკური მენეჯერი მეველუდ საბანაძე დიდი გულისხმიერებით უვლის ყველაფერს, ამიტომაც შენობაში შესული მოსწავლე თუ მშობელი ყოველთვის მონესრიგებულ გარემოში ხვდება.

სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ გასვლით კონცერტებში, საერთაშორისო, ეროვნულ და სასკოლო კონკურსებსა და ფეს-

ტივალებში. მრავალი მათგანი ლაურეატია.

ჩემს წერილს ვასრულებ მაესტრო გელა ფარჩუკიძის გულთბილი პასუხით, რომელიც მან მომწერა სოციალურ ქსელში ამ სტატიის წაკითხვისას:

„იხარე ლევან ბატონო, მადლობა მადლიერებისათვის... მადლობა სკოლის ერთგულებისათვის და ჭირისუფლობისათვის... ერთი შეხედვით ვალდებულიც ხართ გვარიდან და მუშების მსახურებიდან გამომდინარე, მაგრამ განა ყოველთვის იწუხებენ თავს დიდი წინაპრის შთამომავალი მათი გზის განათებისათვის? მიხარია, რომ დიდი პაპის გზაზე ერთგულად მოგვეყვებით თქვენი შესანიშნავი ოპუსებითა და თქვენი ქართველობით, ერის კეთილმუშაკობით და ღვანჯლით, რომელშიც ხართ თქვენ და თქვენი ჯალაბი. იხარებდეს გვარი თქვენი... მადლობა ჩემი პედაგოგების მოფერებისათვის. ეს ის ხალხია (უმეტესობა ქალბატონები), ვინც დღემდე თავისი მხრებით, მოქალაქეობრივი ვალდებულებითა და ადამიანობით ერის წინაშე ათეული წლების განმავლობაში მოიტანა სკოლის სიმძიმე. მათ არავინ ანებივრებს მილიონებით და არ არსებობს კუპიურა, რომელიც თავის საქმეზე შეყვარებულ ადამიანს უფრო გულიანად გააკეთებინებს საქმეს. ისინი უბრალოდ ამისთვის დაიბადნენ, სხვაგვარად მათ არ შეუძლიათ, ეს ფულზე მეტია!!!“

მადლობა მიიღეს მათ ასევე მერიისგან და მადლობა მშობლებისაგან, რომელთაც სწორედ ჩვენი სკოლის პედაგოგებმა გაუზარდეს შვილები ხელოვნების სიყვარულით!

როგორც ეკლესიასტე ამბობს — „უამი არს ქვათა კრებისა და უამი ქვათა სროლისა“, სამწუხაროდ უკვე მრავალი წელია ვერ კიდევ ვერ დაფასდა „ოსტატისა და შეგირდის“ მადლი, განსაკუთრებით მუსიკალური ოსტატი რჩება დღემდე დაუფასებელი... თუმცა ქვეყანაში, სადაც სევეტიცხოვლის აღმშენებელს მკლავს მოჰკვეთენ — შენ მინიმუმ მადლობელი უნდა იყო, რომ ცხოვრებას ორივე ხელით ამთავრებ... (ეს ისე — სევდიანი ღიმილისთვის...)

ქვათა კრებისა რა გითხრათ, მაგრამ ჩვენ ეხლავე უნდა შევუდგეთ მზადებას — 150 წელი ას ორმოცდაათჯერ მაგარი უნდა იყოს...!

მანამდეც და მერეც — ყველა, ვისაც რაიმე შეხება აქვს ან ექნება დიდი ალიოზ პაპის „სკოლასთან“ — დიდი პატივითა და სიყვარულით უნდა თქვას — მე მიზანდარელი ვარ!“

ლევან მიზანდარი კომპოზიტორი, ისტორიკოსი რედაქტორის მინანარი: 90 წლის გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედაქცია ა. მიზანდარის სახელობის ხელოვნების პირველ სკოლას გულმხურვალედ ულოცავს შობა-ახალ წელს და მასთან ერთად სახელოვან იუბილეს. დიდი მადლობა ბატონ ლევან მიზანდარს

უარესად დიდი შემეცნებითი ღირებულების მქონე სტატიისთვის.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ წერილს ჩვენი საზოგადოებისათვის შემდეგ გარემოებათა გამო: ვერ ერთი, არ ვივინყებთ, პატივს მივაგებთ და ნაამაგარს ვუფასებთ იმ საამაყო მამულიშვილებს, „ვინც ჩვენი ქვეყნის სახელი გასტყორცნა, გააჯირითა“. ილია ხომ მუდამ იმეორებდა: ერის გადაშენება მაშინ იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს.

ჩვენდა სავალალოდ, დღევანდელმა თაობამ, უფრო კონკრეტულად, მოსწავლე-ახალგაზრდობამ, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო არ იცის, უკეთეს შემთხვევაში, ბუნდოვნად იცის საქართველოს წარსული, მისი ისტორია, კერძოდ ის, თუ „რა განძი გვექონია, რა მხნე, რა მდიდარი, უღერს ზღვის სიმფონია, დარობს რამდი დარი“. რატომ არ იციან? იმიტომ, რომ არ ასწავლიან.

დიდი მადლობა სკოლის დირექტორს, ბატონ გელა ფარჩუკაძეს საამაყო წინაპართა გზის ღირსეულად გაგრძელებისათვის, მდიდარი ტრადიციების გამრავლებისათვის და იმისათვისაც, რასაც ჰქვია ამ სტატიამ ჩართული მისი გულში ჩამწვდომი წერილი.

დიდი მადლობა ამ სკოლის ყველა პედაგოგს და თანამშრომელს.

2020 წელი თქვენი გამარჯვებისა იყოს, კოლეგებო!

ბორის მიშველაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი



2019 წელი, სკოლის დირექტორი და პედაგოგები



მაისტრო გელა ფარჩუკიძემ სტუმრად მის უშიშროებას, საქართველოს კათოლიკოს კატრიარქ ილია II-სთან

საქმიან შინაან...

როცა გული გულობს



ლობის საარაკოდ მდიდარი მეფე კრეზუსს – ალბათ, გსმენიათ წარმართობიდან მოღწეული გამოთქმა: კრეზუსივით მდიდარიო – ათენელი ბრძენი სოლონი ეწვია. მეფე მისვე სალაროში ჩაუძღვა და, აურაცხელი განძეულით გაყოფილ გულგრილად რომ შესცქეროდა დაზვიანებულ ქრო-ვერცხლსა თუ თვალ-მარგალიტს. „მეფეო, – უთხრა ათენელმა, – ეს ყოველივე წარმავალია. უმთავრესია, ცხოვრებას როგორ დაამთავრებ, რას უტოვებ მისაბაძს შთამომავლობას, როგორ მოგიხსენიებენ“.

როცა კიროსმა ლიბია დაიპყრო და კრეზუსს სიკვდილი გადაუწყვიტა, მეფეს გაახსენდა ბრძენის სიტყვები და სინანულით ლაღადყო: „სოლონი, სოლონი!“

მაცხოვარი გვიმოდერავს, ნუ მიელტვით მწიერ საუნჯეთ, რადგან – ჟანგი, ან ჩრჩილი შეჭამს, ან ქურდი მოიპარავს.

იადან“ – სამშობლოში ოჯახის წარმომადგენელი ხარ, მის მიღმა კი – სამშობლოსიო.

მე-19 სკოლის მოსწავლეები სკოლის სახეს წარმოადგენენ საქართველოში და მერე – რო-



გორ! ათწლეულების მანძილზე ქუხდა აქაურ შემსრულებელთა ოსტატობა. ქვეყნის მიღმა კი სამშობლოს წარმომადგენენ და ისე დიდებულად, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებული

– მაღლს და ასე ამოუწერავად! ლათინური ანდაზა გვარწმუნებს, გამეორება ცოდნის დედააო. კი, ბატონო, მაგრამ მე-19 სკოლის კოლექტივი მეტ-საც ახერხებს – კი არ მეორდება, ილიასეული თერგისა არ იყოს, მუდმივ მოძრაობაშია, ძიებაში ჰპოვებს ყმანვილების სასიკეთო სიახლეებს.

აგერ, პედაგოგმა რუსუდან გოგავამ გია ყანჩელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკლასო კონცერტი გამართა. ყმანვილებმა მესტროს 14 ნაწარმოები შეასრულეს. ხო-მა ეს კიდევ ერთი სიახლე და ესთეტიკურ-პატრიოტული აღზრდაა?!



ზეციური საუნჯის მოსაპოვებლად ილტვოდეთ, რადგან, სადაც არის საუნჯე შენი, იქვეა გული შენო.

ხელოვნების მე-19 სკოლის პედაგოგებს აროდეს უგროვებით მიწიერი, წარმავალი საუნჯენი. ისინი ზეციურ ჰანგებს აზიარებენ ყმანვილებს და მათი საგანძური, მათი სიმდიდრე ყოველ აღსაზრდელშია დაუნჯებულთ; აღსაზრდელთა გულები სწორედ მათთან არის! მათშია ჩაგვირისტებული და ის სათუთი, ფაქიზი „შიდაკულტურა“, რაც ამ სკოლაში სუფევს, რასაც, მუსიკასთან ერთად აზიარებენ ყმანვილებს, უმალ „გარეკულტურად“ გარდაიქმნება და სრულიად საქართველოს მოიცავს. გავიხსენოთ „დათა თუთაშ-

ჯილოების ჩამოთვლაც კი ძალზე გაგვიგრძელებდა სიტყვას. ყოველივე ეს, ცხადია, ამ სკოლის პედაგოგთა რუდუნების დამსახურებაა, ვინც დიდი ძნელებდობის ჟამსაც ერთგულად მიუყვებოდა არჩეულ სავალს, აროდეს ულაღატია მონოდებისა და ბავშვებისათვის.

ასეა: საცა უნდა იყო, რა საქმესაც ადგე, მოგკიდებს უხილავი ხელს შენი ანგელოზი და იქ მიგიყვანს, იმ საქმეზე დაგაყენებს, რისთვისაც მოვლენიხარ ამქვეყნად. ზოგი იშნოვებს ამ მაღლს, ზოგი – ვერა და ედება ლობე-ყორეს.

ხელოვნების მე-19 სკოლის დირექტორს, ბატონ თამაზ მოლაშვილს, ვისი ღვაწლი ცნობილია საზოგადოებისთვის, ვისი

სემესტრის მინურულსაც გამართეს ტრადიციული საანგარიშო კონცერტი. მეორე ასეთი კონცერტი სასწავლო წლის დასასრულს გაიმართება. თითქოს და – რა? ტრადიციული,



„რიგითი“ კონცერტი იყო. მაგრამ „ბარის პირს თუ უფრო ღრმად ჩავეკრავთ“, ცხადი გახდება: წარმოგადგენიათ მუსიკოსი სცენისა და მსმენელის გარეშე? ეს ხომ წესად ქცეული უდიდესი მუხტია ყმანვილების, მათი მშობლებისა და პედაგოგებისათვის. და მერე როგორი მსმენელები! კომპოზიტორები: ვაჟა აზარაშვილი, კახა ცაბაძე, გიორგი შავერზაშვილი (კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე) მერაბ მერაბიშვილი.

ასეთი მესტროები რომ



დაგიკრავენ ტაშს, მეტი სტიმული ძნელად წარმოსადგენია.

ულამაზესი კომპოზიცია. ჩაბნელებული დარბაზში სანთლებით ხელში დინჯად შემოდიან სტიქაროსნებად ჩაცმული ბავშვები და კომპოზიტორ მანანა იმედაძის პატრიარქისადმი მიძღვნილ საგალობელს, პოეტ ნანა დარჩიაშვილის ლექსზე საოცარი შთაგონებით ასრულებენ (ვოკალის პედაგოგი – თინა იმერლიშვილი).

გუნდში, ამ სკოლის მოსწავლეებთან ერთად, 168-ე საჯარო სკოლისა (დირექტორი – მაია ხმალაძე) და თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის რაიონის ფილიალის (დირექტორი – ლამზირა მეღვინე) აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ, რაც ადასტურებს, რომ ხელოვნების მე-19 სკოლა აროდეს იფარგლება საკუთარი კედლებით.

მართლაც ისეთი შთაგონებით

ჩასაბერი ინსტრუმენტების გოგონათა უნიკალურმა ორკესტრმა, კომპოზიტორ ალექსანდრე მწარიაშვილის დირიჟორობით და გაერთიანებულმა ორკესტრმა სერგო ტყაბლაძის დირიჟორობით მოხიბლეს მსმენელნი.

ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ, ძირითადად, სწავლების პირველი წლის ორკესტრანტები უკრავდნენ. ჩემდაუნებურად გამიელვა გონებაში, „ნიჭიერის“ შოუ თამამად შეიძლება ამ სკოლაში გაიმართოს-მეთქი.

და კიდევ: სკოლა დროულად იჭერს თავარიგს – ცვლას ამზადებს და მეტი შესაძლებლობები რომ ჰქონდეს, კიდევ რამდენ სასიკეთოს იქმოდა ბავშვებისათვის.

თუმცა, იყო მოხიბლულთა: საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ გიორგი ტყემალაძის, რაიონის გამგებლის, ბატონ კახა სამხარაძის დაპირებები, რაც, იმედია, შესრულდება და გულთ-



ბილი სიტყვები, რასაც ბატონი თემურ შამიაშვილიც შეუერთდა. იყო სიმღერები, იყო მილოცვები და იყო საოცრად მეგობრული გარემო.

კონცერტი დამთავრდა. ერთი პირობა დავაპირე, მესტროებისთვის მეკითხა აზრი შესრულების დონეზე, მაგრამ მათ სახეებს რომ შევხედე, გადავიფიქრე – ზედ ეწერათ, რაოდენ აღფრთოვანდნენ დამწყები მუსიკოსების ოსტატობით.

ასეა, როცა გული გულობს, როცა სკოლის პედაგოგთა მთელი კოლექტივის საუნჯე მათს აღსაზრდელებშია დაუნჯებული.



კონსტანტინე გურბენიძე

მშვენიერი ნიბნი



ბლადის, ივანე იმნაიშვილის, ალექსანდრე ბარამიძისა და მრავალ გამოჩენილ ადამიანთა ყოფილი წარჩინებული სტუდენტი.

ჩვენო საამაყო ლია, მზის გემო შენს ნიგნში მარტო ამ ჭერამს კი არ აქვს, ნიგნის გარეკანს რომ ამშვენებს, არამედ ყველას და ყველაფერს: მამულს, მშობლისა და დედამამიშვილების სიყვარულს, ქართულ მეზობლობას, მეგობრობას, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას...

და, რაც მთავარია, მკითხველსაც ისევე შეაყვარე შენი ნიგნის პერსონაჟები, როგორც შენ გიყვარან ისინი.

რამდენი სიტბო, სიყვარული, მზრუნველობა იხატება შენი გულწრფელი მოთხრობებიდან, რომლებიც მართლა შენივე სულგრძელობის ნაწილია.

მრავალმხრივი და საინტერესოა ამ ნიგნში შეტანილი პუბლიცისტური ნერილები. მჯერა, ყოველი რიგითი მკითხველისათვის უფრო ახლობლები და ღირსეულები გახდნენ: მსახიობები, პედაგოგები, მშობლები, შანშიაშვილის ქალი თუ მისი ბიძაშვილი ვახტანგი, ქვეყნისთვის ზვარაკად შეწირული საქართველოს ღირსეული მამულიშვილი. ჩვენი დროის ეროვნული გმირი ბატონი ყიული შარტავა.

დასახელებულ ნიგნს ორი ძირითადი ხიბლი მიჰყვება ფონად:

გულწრფელობა და ჭეშმარიტება. ორივე გულისხმიერი ნათქვამია: „ზოგჯერ გულსაც სჭირდება ბერტყვა, როგორც ხურჯინს.“

ჰოდა, ნიგნის ავტორმა მის ფურცლებზე ჩამოხატა თა-

ვისი გულის სიტბო და ტკივილი, სიამე და ნუხილი, ავი თუ კარგი და გაგვაცა ნანახისა და განცდილის კეთილგონიერი გააზრებით, საგნებისა და მოვლენებისადმი ჭეშმარიტი მიდგომის ხერხებითა და ჭერებით, მაღლიანი ქიზიყურ - კახური დიალექტით შეზავებული და ამავე დროს, აკადემიური ლიტერატურით გამართული საუცხოო ქართულით...

დაგილოცავთ, ჩვენო ლია, სამწერლო ასპარეზს, რომელსაც გასული საუკუნის 70 - იანი წლებიდან ემსახურები. „ეს ერთი და სხვა მრავალი,“ როგორც იტყვიან, არ შეგაკრთოს წლების სიმრავლემ, ხანდაზმულობაც აქვს ერთგვარი ხიბლი, იგი უფლის ჯილდოა! თუმცა შენაირ პიროვნებას ჰაერივით ესაჭიროება გაფრთხილება, მხარში დგომა და სიყვარული.

„წლების ნაოჭი გვირგვინია, რაც გაგაჩნია, მთავარია, რომ სუფთა გზებით იარე ქვეყნად, თორემ სიბერე რა სირცხვილად მოსატანია, მაშინ, როდესაც უკან მოხედვა გეამაყება და გიხარია!“

ჩვენო დაიკო, გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ ბედნიერ მომავალს შენს საყვარელ ოჯახთან ერთად!

შენი თანაკურსელი მეგობრები: ზეინაზ ჭიჭიკოშვილი, ნინო იშხანიძე, ცია ზორცვაძე



რედაქტორის მინაწერი: გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედაქცია უერთდება ავტორთა მილოცვა სურვილებს. ღვანლმოსილი პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული ყურნალისტი ლია მარტაშვილი ნიჭიერი შემოქმედი და თავისი საქმის პროფესიონალია. დიდი

ხანია ნაყოფიერად თანამშრომლობს, ბრწყინვალე სტატიებით ამშვენებს მასწავლებელთა გაზეთ „სახალხო განათებას“, გამორცეული კორესპონდენტია რუსთავის რეგიონიდან. ჩიტმა ამბავი მოგვიტანა: მალე იუბილეს აღნიშნავს. ვაშა, მის ნიჭსა და შემართებას!

ლიტერატურული მოზაიკა

ნაირამ მკითხველები გაახარა



პატარები და დიდები ახალ წელსაც მშვენიერი ლექსებით გაახარა ნაირა ნიჟარაძემ. მხოლოდ ფანტაზიით კი არ ქმნის პოეტი მხატვრულ სტრიქონებს, არამედ „მშობელ მინაში უდგას ფესვები“ – თითქოს ხელმეწაფეად ვგრძნობთ, რომ ბუნების ნაწილი ვართ, მასთან ვართ შეზრდილი. ერთ-ერთი ლექსი „ნაკვეთისკენ მივიჩქარი“, სწორედ ამისი დასტურია. მართლაც აქვს პოეტს თბილისის გარეუბანში მინის ნაკვეთი, რომელსაც მეზაღე და მეყვავილე მიხეილ მამულაშვილივით თავს ევლება. სხვა ნაწარმოებებიც ასევე მიწიერი და ცხოვრებისეულია.

ნაირა ნიჟარაძე

„რანინა“

კონსტანტინეს უხარია, ახლა უკვე დიდი ვარო, ქუთაისი მივატოვე „რანინაზე“ მივდივარო.

ჩვენ თბილისი თბილად გვხვდება, დიდი უფლის წყალობითა, ვიმღერებთ და საქართველოს გავახარებთ გალობითა.

მამაძი

ალარ ყივის მამალი, გულჭრელი და ფრთამალი, საახალწლო სუფრაზე დადგეს, როგორც ნამალი.

მოაგლიჯეს ბარკალი, ადღეგრძელეს მთავარი, ღმერთო, ბევრი გვყოლოდეს კუდნითელა მამალი!

ნაკვეთისკენ მივიჩქარი

ოი, როგორ ვნატრობდი დროის შემობრუნებას, გაზაფხულის შემოსვლას, გაცივებულ ბუნებას.

როგორ ველოდებოდი ნუშის გამოღვიძებას, ატმის ვარდისფერობას, ტყემლის ამოფეთქებას.

ვაზის ამოკვირებას, წვიმის აუუუუნებას, ჩახჩახა მზის ამოსვლას, ზღვიდან ამობრძანებას.

დადგა დრო და მინისკენ, ნაკვეთისკენ მივქრივარ, თესლებს მინას მივართმევ, ახლა უკვე დიდი ვარ.

ვთესო ქინძი, სიმინდი, და ხასხასა ლობიო,

ვაზი მისკენ გვეძახის, ჩქარა ჩემთან მოდიო.

ჰარი, ჰარი, ჰარაღე, დარო, მუდამ იდარე, ქართველებო, ახალ წელს, გამრავლდით და იხარეთ!

ახაგეაზრდებო!

მგლის მუხლიანებო, არნივის თვალებიანო, თქვეს: ჭკვიანი არიანო. მერცხლებო, ჩემი სულისა, დალოცვილნი ხართ უფლისგან, დატოვეთ იალაღები, ფრთები მოისხით ახლები.

თქვენი ქვეყანა ეს არის, მზისა და მთვარის ნაწილი, თავისუფლებით იხარეთ, როგორც მტრედი და არნივი!

გვრძელოვან მე-5 გვ.

„ათინათისა“ და „ანთოლოგიის“ სახალხო ელვარება



ამ დიდებული წიგნით (ჟურნალს ვერ ვუწოდებ) დიდი ხანია მოხიბლული ვარ. რატომ? ამ კითხვაზე პასუხი – უფრო ქვემოთ. არათუ ჩემი, არამედ მრავალათასიანი მკითხველის აზრით „ათინათთან“ ერთად ამ „ანთოლოგიის“ ბადალი დღეს არაფერი მეგულება. არ ვაჭარბებ, ბევრჯერ შემიფასებია იგი და გზადაგზა ზოგი რამის გამეორება მომიწევს.

„ანთოლოგიის“ მთავარი მახასიათებელია მისი **ენციკლოპედიურობა**. ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროა მაღალპროფესიულ დონეზე წარმოდგენილი, გარდა პოლიტიკისა. დიდი გაქანების ორგანიზატორ-რედაქტორმა, თავად ჩინებულმა პოეტმა, **გულნაზ ხარაიშვილმა** ავტორებად აკადემიკოსების, მწერლების, ხელოვნების მუშაკთა ბრწყინვალე ელიტა შემოიკრიბა. აი, თუნდაც თემათიკურ რუბრიკას გავეცნოთ: **პოეზია, პროზა, ხელოვნება, საბავშვო განყოფილება, თარგმანები, ბიბლიოთეკა, მეცნიერება, შემეცნებითი სამყარო, განათლება, ამაგდართა არდავინყება, მედიცინა და სხვა**.

ახლა „ანთოლოგიის“ მხატვრულ-ესთეტიკური მხარე, მისი პოლიგრაფიული დონე? – „რა გიამბოთ ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა.“ მარტო ის რად ღირს, რომ დღეს უსიცოცხლო რობოტიზაცია-კომ-

პიუტერიზაციამ „ანთოლოგიას“ მკითხველები ვერ დაუფრთხო, პირიქით, მოუმრავლა.

„ანთოლოგიის“ დანიშნულება უპირატესად მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების, კერძოდ, მწერლობის წარმოჩენაა. ბუნებრივია, აქ მწერლობის ხვედრითი წილი დიდია. როგორ მინდა სახელგანთქმული მწერლები ყოველ ჟანრში ჩამოვთვალო. იმდენია, ვერ ვებედავ, ერთს დავასახელებ, მეორე გამინანყენდება. და მაინც: **მუხრან მაჭავარიანი, რეზო მიშველაძე, მაცვალა გონაშვილი, ერეკლე სალიანი, გურამ გედევანიშვილი, ნაირა ნიჟარაძე...** აი, ვისი სახელები ამშვენებენ „ანთოლოგიას“. მკითხელს ვთხოვ, ერთი გამონაკლისი დავუშვა. ამის ნებას მაძლევს შემდეგი: ჯერ ერთი, ქალია, მეორე – საოცარი ბიოგრაფია აქვს, მესამე – კარგი პოეტი. მკითხველი მიხვდა, რომ იგი გახლავთ გულანთებული პატრიოტი და დიდი რედაქტორი **გულნაზ ხარაიშვილი**.

აი, მხოლოდ ორიოდ ნიმუშს მოვიტან მისი შემოქმედებიდან: ლექსი ეძღვნება კაც-ლეგენდას, **ჯუმბერ ლეჟავას**.

აყაფიძის წერების ფიცი

რამდენი ლექსი გიძღვნი, მაგრამ სიტყვა ვერა ვთქვით შენი საფერი. ვეფერებოდი შენს ჯიშს და ნაგრამს, კვლავ ბევრი დაგვრჩა ისევ სათქმელი.

შენი სახელის უკვდავებისთვის, სიცოცხლის ბოლო წუთს განაცვალე... კვლავაც ვიბრძობე იდეებისთვის, არ მოვდუნდებო, წუთს არ გავაცდენთ.

თაობებს შევერებთ დარუბანდამდე, ნაბიჯს ავანყობთ ნიკოფსიიდან, ვიბრძობე ცაში წასვლის ვადამდე და არ ამოგშლით ჩვენი სიიდან.

მეორე ლექსი:

წერციცი დაქსვი

სიკეთეს ვთესავ, არა ვარ მგელი, წამნამებში მაქვს ცრემლი მოჩრილი, ჩემი გულია ხასხასა ველი, რწმენით ვარ მუდამ უფლის მორჩილი. ჩემი გულია სიკეთის ხიდი და მოლივლივე ზღვის ტალღის მსგავსი. ჩემი გულია წყნარი და მშვიდი, ქედმაღლობასთან წერტილი დავსვი.

აი, ქალბატონ გულნაზის სულიერ-ზნეობრივი კრედო და პორტრეტი. არც საბავშვო პოეზიაში ჩამოუვარდება იგი ვინმეს.

„ანთოლოგია“ „მზრდელია ყრმათა“ იაკობის „დედაენის“ დარად, დამკვლიანებელია ნორჩ „ათინათელთა“ ნიჭისა. „ათინათისა“ და „ანთოლოგიაში“ ამ სფეროს ნაყოფიერად უძღვება თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბი **„მთიები“** დამსახურებული პედაგოგის **ლამარა გერგედავას** ხელმძღვანელობით. მოვუწოდებ ყველა სკოლას, ჩამოაყალიბოს კლუბი „ნორჩი ათინათელები“. „ათინათთან“ ერთად „ანთოლოგია“



გახლავთ განათლების მუშაკთა, მასწავლებელთა თანამდგომი და სახელმძღვანელო.

კიდევ რა ვთქვათ? სათქმელის მეტი რა არის, მაგრამ სიბრძნის ოკეანეში დაკარგვის მეშინია. არც ჩვენი გაზეთის ფორმატი

მაძლევს ამის საშუალებას.

აი, „ანთოლოგიის“ დიდი ღირებულება და ელვარება. ელვარება და ნათება საახალწლოა, რომელიც მთელ წელიწადს შუქურად გაჰყვება.


შარშან ანთოლოგიის VIII ტომის მიმოხილვისას სათაურად მივეცი: **„ათინათის“ შენაკადთა კრებული მხესხივოსანი**. IX ტომიც ასეთია: „ათინათის გაზრდილია, მისი ძუძუ უწოვია“, „მას „ათინათში“ უდგას ფეხები, როგორც წყალში დგას წნორის ძირები.“

„ათინათის“ ბოლო, მე-4 ნომერიც ბრწყინვალეა, ბარაქიანი, ძარღვიანი. მაღალ დონეზე განიხილეს იგი მწერალთა კავშირში. ამჯერად გაზეთის ფორმატის გამო არ გვეძლევა საშუალება მასზე ვრცლად მსჯელობისა. მაინც შევეცდებით ორიოდ სიტყვით.

ერთმა კოლეგამ მისაყვედურა, სულ აქებ, კრიტიკა არა ჩანსო. ეჰ, ჩემო იმანო, საქმის კეთებაა რთულზე რთული, თორემ შენიშვნების მიმცემი კვანჭირიდანაც მოვა.

„ათინათი“ და „ანთოლოგია“ იმხელა დიდ საქმეს აკეთებს, ზოგიერთი ხარვეზი რა მოსატანია. ილიას სამების – „ენა, მამული, სარწმუნოების“ დაცვა-გაძლიერებას არის შეჭიდებული. ნიჭიერთა აღმოჩენა-ხელის შეშველებას ცდილობს, მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების... აყვავებაზე ზრუნავს, რომ საქართველოს სახელი შორს „გასტყორცნოს, გააჯიროთოს.“

მოდით, მკითხველის მოტივაცია-დაინტერესება-მოზიდვის მიზნით ასეთი სათამაშო შემოვიღოთ: „მოგზაურობა „ათინათ-ანთოლოგიის“ სამყაროში.“ ამჯერად „ათინათის მე-4 ნომრის მაგალითზე ვცადოთ: ეძიეთ, ვის კალამს ეკუთვნის შემდეგი სათაურები და ფრაზები, მოგეწონათ? დაიზებირეთ! პოეზია – „მენატრება სტრიქონები,



შენი ნაკარნახევი“, „მონკრიალე ფანდურებო“, „მტკვარი სევდას აქარებდა დუდუკით“, „შიშნი სამშობლოს“, „დავით გარეჯი საქართველოა“, „გონიოსკენ“, „მცირეს ამწევი მირჩვენის, ალაღმართალი ვინც არის“, „თუ სამშობლოს დავკარგავთ“, არ დავინყება მოყვარეთა: „ეს ცხოვრება“, პროზა: „ბელურა გემის ანძაზე“, „პაემანი სიკვდილთან“, სულის უკვდავება: „სიკვდილო, არ მოკიდო ხელი!“ ოჯახური ურთიერთობები: „მასწავლებლებსაც ჰყავთ მასწავლებელი“, ხელოვნება: „დიეგო ველასკესის ფერწერა“, ისტორია: „მარაბდა“...

როგორც მკითხველი, დიდ მაღლობას მოვახსენებთ რედაქციის ყველა თანამშრომელს, პასუხისმგებელ მდივანს, განყოფილებათა რედაქტორებს, რედაქციის წევრებს, ყველას – „დიადი საქმის ასაშენებლად პატარა კენჭი ვინც მიიტანა“.

ამ წერილს ჟურნალისტი ასე დაამთავრებდა: „ათინათის“ № 4 და „ანთოლოგიის“ IX ტომი შობახალი წლის კვირახალზე უფიერფასესი საუნჯე და საჩუქარია მაღლიერი მკითხველისათვის. დიდ დღესასწაულებს ვულოცავთ „ათინათისა“ და „ანთოლოგიის“ ყველა მუშაკს!

ბორის მიშველაძე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ნაირამ მკითხველები გაახარა

მეოთხე გვერდიდან

ფისო

ფისუნია ქალაქში იყო გამოკეტილი, სულ ბებია უვლიდა მოხუცი და კეთილი.

იქ მძინარეს ეძახდნენ, აქ კი დაჰქრის მწვანეში, გაიხარა სოფელში, ამ ვრცელ არე-მარეში.

აქ ჩამოდიან

ველოდებოდი ჭაბუკებს დილით, მოიქარაინ ცხენებით, ღიმილთ, მოჰყავთ ცხვარი და გულდინჯი ძროხა, ძაღლები გვერდით, თეთრი და ჭროლა.

გამოზამთრებას აქ აპირებენ, მშიერ მოზარდებს აქ აპურებენ, კავკასიონზე დიდი თოვლია, სახლებს მრავალგზის ზვავეი სწოლია.

არ ჩამეძინოს, ღიაა მათთვის ჩვენი სილაღე მთების ფერდები, აქ არის მათი ზამთრის კარავი, სხვაგან, ვიცი, რომ არ შეჩერდები.

ქრიან მწყემსები შავრა ცხენებით, კავკასიური ძაღლით, ჭენებით, ზოგსაც ხურჯინში უზის ლეკვები, უზანგში უდევთ თბილი ჩექმები.

ბარში მოდიან, გაიზამთრებენ, აქ არსაიდან ცვივა ზვავეები, აქ სიმშვიდეა და სილამაზე, არც ავი ზრახვით ქრიან ყვავეები.

პაჭრიოცი

პროფ. მიხეილ გონიკაშვილის მან გაიარა წუთისოფლის ხანგრძლივი გზები, ოთხმოცდათხუთმეტს გადააბიჯა, იყო მშრომელი, დაუზარელი, ცხოვრების ტვირთი მარჯვედ რომ ზიდა.

ის პროფესორი, ისტორიკოსი, წერდა იკვლევდა ქართველთა ყოფას, მისი მეგზური იყო ლამარა, მასთან არჩვდა შრომას და ყოფნას.

აღწერდა რუსთა უკუღმართ ქცევას, ბაგრატიონებს უნგრევედნენ ბუდეს, ბევრ ქართველს ურცხვად ადებდნენ ხუნდებს და უმწარებდნენ სიცოცხლის წუთებს.

ენაც კინალამ წაგვართვეს ბოლოს, ქართველებს ვეღარ გაუძლეს მხოლოდ, ის პატრიოტი იყო მხურვალე, ჰქონდა ბალი და უყვარდა ვაზი,

მას ღვინით სავსე სულ ჰქონდა თასი, წუთისოფელი მცირეა კაცის. ღმერთმა აცხოვნოს ერთი ქართველი, იყო ქვეყნის და ხალხის დამცველი.

ახალგაზრდა სპორტსმენის წარმატება



სპორტის მოყვარულები კარგად იცნობენ 17 წლის ელენე ლოლაძეს. იგი, აღმოსავლური ორთაბრძოლის -კიკბოქსინგის მსოფლიო თაისის მფლობელი გახდა და ჩვენი ქვეყანა ასახელა. იგი, არის კრივი საქართველოს ჩემპიონი და სხვა არაერთი შეჯიბრის გამარჯვებულია. ასეთ დიდ წარმატებამდე ახალგაზრდა სპორტსმენი სპორტის სიყვარულმა, თავდაუზოგავმა შრომამ და გამარჯვების სწრაფვის სურვილმა მიიყვანა. როგორც თავად ამბობს, იგი კიკბოქსინგში წელიწადნახევარია რაც ასპარეზობს, თუმცა მრავალი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი გახდა. ელენეს მწვრთნელი ნიკა ბეგოიძე დარწმუნებული იყო შეგირდის წარმატებაში და მედეგად არ დააყოვნა.

მსოფლიო ჩემპიონისთვის კიკბოქსინგ თავდაპირველად, მხოლოდ გატაცება იყო. ვარჯიში დაიწყო განტვირთვისა და ენერჯის დახარჯვის მიზნით, თუმცა მისი მწვრთნელი დარწმუნებული იყო ელენეს გამარჯვებაში. კიკბოქსინგში წარმატება მოიპოვა აზერბაიჯანში და იტალიაში. თურქეთში კი, ტაილანდურ ორთაბრძოლაში „მუაი-ტაი“-

ში, ასევე, ჩემპიონის ტიტულის და თაისის მფლობელი გახდა ტაილანდური კრივის „ვაი-კრუს“ სახეობაშიც.

ტრაფარეტული გამოთქმა: „ნიჭიერი ადამიანი, ყველაფერში ნიჭიერი“, ალბათ, ელენესაირ მოტივირებულ ადამიანებზეა ნათქვამი. იგი, ღმერთმა მრავალმხრივი ნიჭით დააჯილდოვა, სპორტულ ცხოვრების პარალელურად, მღერის, ცეკვავს და უფლებს კლასიკურ მუსიკას, არის ანიმატორი..

ნათია გუნიავა, ელენეს დედა: ჩემი შვილის წარმატება მიხარია, მაგრამ ისეთი თავდადება და მონდომებულობა, ეჭვიც არ შეპარებოდა მის წინსვლაში. ოთხი წლიდან ცეკვავს, ძმის რეპეტიციაზე ერთხელ დასწრებაც საკმარისი გახდა იმისთვის, რომ ქართული ქორეოგრაფიით დაინტერესებულყო. მცირე ასაკის მიუხედავად, წინააღმდეგობა ვერ გაუწივთ, ქორეოგრაფი ძლიერ დავიყოლიეთ... მედეგად არ დააყოვნა და 4 წლის ელენე რამდენიმე თვეში, ანსამბლის წევრი და მოვიანებით წამყვანი სოლისტიც იყო. ასევე, დაეუფლა ფიგურულ სრიას და თანამედროვე ბალეტს, აქაც გაგვაოცა თავისი მონაცემებით. 5 წლის ასაკიდან მუსიკალურ სტუდია „მუსიკის პანგეში“ მღეროდა პედაგოგ ციცი ბიჭიკაძისთან. ბავშვობიდანვე დიდ ენერჯიას ხარჯავდა და ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ნებისმიერ წამოწყებას. მშობლები არასოდეს არაფერს ვაძალებდით და ვფიქრობ, სწორადაც ვიქცეოდით, რადგან თავად იჩენდა ინტერესს სიახლეებისადმი.. მუსიკის განხრითაც საკმაოდ წარმატებული მოსწავლეა როგორც საფორტეპიანო,

ასევე ვოკალის მიმართულებით. ხელოვნებასთან ერთად, ძალიან უყვარს ხელსაქმე და ქარგავს, შესანიშნავად. ასევე, რამდენიმე სამოდელი სააგენტოს შემოთავაზებით, არაერთ ჩვენებაშიც მიიღო მონაწილეობა. ელენეს აღმოსავლური სპორტით დაინტერესება, თავიდან გატაცება იყო, მაგრამ დიდი სიხარული მოგვიტანა, როცა ერთ-ერთი საერთაშორისო ტურნირიდან FFC-ს ქამარი ჩამოიტანა.

საქართველოში წარმატებით დასრულებული ორი ტურნირის შემდეგ ელენეს პირველი გამოცდა საერთაშორისო არენაზე შედგა და ბაქოში, მას მოუწია პროფესიონალური ორგანიზაციის ქამრისთვის ბრძოლა. უმძიმეს შეჯიბრში დაამარცხა ირანელი მოწინააღმდეგე (აზიის ჩემ-



პიონი ტაილანდურ კრივში) და მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი. ლოლაძემ ფინალურ ორთაბრძოლაში ტექნიკური ნიკაუტით და დაეუფლა პრესტიჟულ ჯილდოს, ქამარს - 57 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

ელენე ლოლაძეს მოგებული აქვს რუსთავისა და საქართველოს ღია ჩემპიონატები და

პროფესიული ბრძოლები. ორგანიზაცია EFS-ის გადაწყვეტილებით, იგი მწვრთნელთან ერთად გამეზავრა იტალიაში, კურორტ რიმიზზე საუკეთესო მებრძოლის მსოფლიო თაისის მოსაპოვებლად. ტურნირი ჩატარდა პრესტიჟული ორგანიზაციის ეგიდით, რომელიც აღიარებულია მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტისა და გლობალური სპორტული ფედერაციების ასოციაციის მიერ. აღნიშნული შეჯიბრი, წლის ყველაზე მასშტაბური ღონისძიება იყო კიკბოქსინგში, სადაც მონაწილეობა მიიღო 42 ქვეყნის 3000-მდე სპორტსმენმა, რომელთა შორის საქართველოს მხოლოდ ელენე ლოლაძე წარმომადგენდა. 16 წლის სპორტსმენი, სიმძლეების მიუხედავად, რაც ამ ტურნირს და მის ფინალურ ორთაბრძოლაში მონაწილეობას უძლოდა წინ, ტაილანდურ კრივში მეუძღბელი შეძლო, დაამარცხა ტაილანდელი წარმომადგენლის ნორვეგიელი სპორტსმენი და მოიპოვა ჩემპიონის ტიტული 56 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში (18 წლამდელებს შორის დისციპლინა Full Contact-ში). შემდეგი წარმატება იყო შავი ზღვის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ქალაქ ბათუმში ჩატარდა. აღნიშნული გამარჯვების შემდეგ, ელენემ მსოფლიო რეიტინგში ადგილის დამკვიდრებაც მოახერხა და მხოლოდ ერთი ტურნირის შედეგით, რეიტინგის მეოთხე საფეხურს იკავებს.

ელენე ლოლაძე: სულ ახლახანს, სექტემბრის ბოლოს, ახალგაზრდებს შორის ტაილანდურ კრივში მსოფლიო ჩემპიონატი გამართა. ჩემთვის ეს ორმაგი გამორწვევა იყო, რადგან ტაილანდურ კრივში არსოდეს მიბრძოლია და გადაწყვეტი პირ-




ვი ქართველი სპორტსმენი მე ვყოფილიყავი. შეჯიბრი იყო დისციპლინა „ვაი-კრუს“-ში, ეს არის „მუაი ტაი“-ს განუყოფელი ნაწილი და მის გარეშე ტაილანდური კრივი ძელი წარმოსადგენია. აქვე გეტყვით, რომ ჩვენი ამოცანა არ იყო გამარჯვება, მხოლოდ მონაწილეობის სურვილი მქონდა და მიწოდდა აღნიშნულ შეჯიბრში საქართველოს წარმომადგენელსაც მიელო მონაწილეობა. პირველივე ტურზე წარმომადგენელი შედეგი მივიღე, კრეატიული უნარი გამოვახიხინე და გამოვიყენე ქართული ცეკვის - „ნორუმის“ ელემენტები, რამაც დიდი მონონება დაიმსახურა. ტაილანდური კრივის მსოფლიო ჩემპიონატზე, მეჯიბრის ფინალში დამპირისპირდნენ ტაილანდელი, თუმცა, მოვახერხე და გავხდი ჩემპიონი „ვაი კრუსში“ დამაჯილდოვეს საუკეთესო მონაწილეთა შორის. ძალიან გამიხარდა, როცა ჩემთან ერთად ფორტის გადაღება IFMA-ს პრეზიდენტმა მოისურვა.

ახალგაზრდა სპორტსმენს დიდი სამომავლო გეგმები აქვს, წინ კი მრავალი წარმატებაა.

მზია ბობოქი

საშობაო ფესტივალი 58-ე სკოლაში

საქველმოქმედო აქცია



საშობაო ფესტივალი გაიმართა თბილისის 58-ე საჯარო სკოლაში, რომელიც 23 დეკემბრიდან 27 დეკემბრამდე მიმდინარეობდა. აღნიშნული ღონისძიება სკოლაში უკვე რამდენიმე წელია ტარდება და მისი ინიციატორია დირექტორი იოსებ (სოსო) ლაზარაშვილი.

საშობაო ფესტივალს პროგრამაში გათვალისწინებული იყო სხვადასხვა სახის ღონისძიება.



მაგალითად, ინტელექტუალური თამაში - „რა, სად, როდის?“, ცირკის დღე, სასკოლო ჩემპიონატი, საახალწლო კინოჩვენება, მუსიკალური დილა, მხიარული სტარტები, კულინარიული შეჯიბრი, მუსიკალური საათი, შეხვედრა დირექტორის გუნდთან - ფრენბურთში, მუსიკალური სპექტაკლი „ოლივერ ტვისტი“, გალაკტიონის საღამო - მუსიკალურ-ლიტერატურული კომ-

პოზიცია და ევროპული კლუბის წარდგინება.

პრეზენტაციაზე, სკოლის მოსწავლეებმა და ევროპული კლუბის ხელმძღვანელმა ქეთევან გორდელაძემ სტუმრებს გააცნეს განუული მუშაობის შედეგები და ისაუბრეს ევროპულ ღირებულებებსა და დასავლეთის წამყვანი ქვეყნების სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაზე.



ფესტივალის ფარგლებში გაიმართა საშობაო ბაზრობა, საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა, სადაც სკოლის მოსწავლეებმა, თავიანთი შემოქმედება წარმოადგინეს. საქველმოქმედო ღონისძიებაში ჩართული იყვნენ, როგორც სკოლის მოსწავლეები ასევე, პედაგოგები. ფესტივალის ორგანიზებაში დირექტორთან ერთად, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სასწავლო ნაწილის გამგემ ციცინო წულუკიძემ.

სკოლის ფოიეში გამოფენილი მოსწავლეების შემოქმედება თუ ნამუშევრები საზეიმოდ, ლენტის გახსნითა და მუსიკის ფონზე წარიმართა. საშობაო ბაზრობაზე წარმოდგენილი ნამუშევრებიდან მიღებული თანხა კი, საქველმოქმედო საქმიანობისთვის გადაირიცხა ლეიკემით დაავადებული ბავშვებისთვის.

მზია ბობოქი



პროფესია, რომელიც შეუფასებელია



„მასწავლებელი – ღამე უძილო, ნორჩებზე ფიქრი დაუშრობელი. მასწავლებელი – ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.“

იოსებ ნონეშვილი
რაოდენ დიდი პატივი და საპასუხისმგებლობა, იყო პედაგოგი, აღმზრდელი მომავალი თაობისა და კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობა ამ სფეროში მოღვაწე ხელმძღვანელის როლი, რომელსაც ათეულობით მოზარდის ბედი აქვს მინდობილი.

ჩვენი გაზეთის სტუმარია ქ. თბილისის მერიის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ჩუღურეთის რაიონის მე-10 ბაგა-ბაღის დირექტორი, ქალბატონი მეგი აბესაძე.

– ქალბატონო მეგი, ორიოდე სიტყვით გვესაუბრეთ თქვენი ბაღის შესახებ.

– ჩვენი მე-10 ბაგა-ბაღი 1963 წლიდან არსებობს. თავდაპირველად ეს იყო ძველი შენობა, ხოლო შემდეგ მოხდა მისი ამორტიზაცია, რის გამოც აშენდა ახალი შენობა.

ბაგა-ბაღის ეზოში იყო სამი სასწავლო-სააღმზრდელი კორპუსი და ერთი ადმინისტრაციული შენობა, სადაც ამჟამად სამზარეულოა განთავსებული, რომელიც სამივე კორპუსს კვებით უზრუნველყოფს.

როგორც მოსახლეობისაგან შევითქვე, დროთა განმავლობაში ერთ-ერთი კორპუსი დაზიანდა მინიქვეშა ნელებიდან, რის გამოც შენობა ამორტიზებული გახდა და მისი დემონტაჟი აუცილებლობას წარმოადგენდა. ძველი კორპუსის ადგილზე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ახალი კორპუსი აშენდა.

– რას გვეტყვით ბაგა-ბაღის ინფრასტრუქტურაზე, კერძოდ, სათამაშოებზე, რამდენად უზნებელია ესა თუ ის სათამაშო პატარებისათვის?

– რაც შეეხება სათამაშოებს, ყველა სათანადოა შემონახულ-დატესტილი, რაც გამოირჩევა უზნებლობით. პატარებს ჯანმრთელობის მხრივ არანაირი საფრთხე არ ემუქრება.



ბათ.

– სასწავლო-სააღმზრდელი მასალების შესახებ, თუ შეიძლება...

სასწავლო-სააღმზრდელი ლიტერატურა შესრულებულია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე, რაც ძალიან სასიამოვნოა პატარებისათვის...

– რამდენი ჯგუფია თქვენს ბაგა-ბაღში და რამდენი აღსაზრდელი ირიცხება სიით?

– თავიდან იყო 5 სასწავლო-

თანაშემწე გადაყვა მათ. ყოველივე ამის გამო შეიქმნა ახალი, თბილი, ოჯახური გარემო, სადაც პატარები თავს ბედნიერად გრძნობენ.

პედაგოგები აღზრდის პროცესში მშობლის ფუნქციას ითავსებენ, ამიტომაცაა აუცილებელი ისეთი კადრები, რომლებიც ბავშვებს სათანადო აღზრდას გაუწევენ.

– როგორც თქვენი საუბრიდან



და სპეცპედაგოგი. რას გვეტყვით სპეცპედაგოგზე?

– როდესაც აღსაზრდელი განსაკუთრებული დიაგნოზით ხასიათდება, მას ენიშნება პერსონალურად სპეცპედაგოგი სპეციალური ცენტრის ანუ ნეიროგანვითარების ცენტრის მიერ, მაგრამ კონკრეტულად ასეთი საჭიროების მქონე აღსაზრდელები ჩვენთან ბაღში არ არის, მაგრამ თანამედროვე სამყაროში,

ფასვსა ყოველი ჩვენგანისათვის, ისინი ხომ ჩვენი მომავალია.

– ქალბატონო მეგი, რას გვეტყვით კვების შესახებ, რომელი კომპანია ამარაგებს ბაგა-ბაღს საკვები პროდუქტებით?

– ხელშეკრულება დადებული გვაქვს კომპანია „ეკოლუქსთან“, რომლის მომსახურებითაც კმაყოფილები ვართ.

– როგორია კვების რაციონი და რამდენად უზნებელია ის პატარებისათვის?

– კვების რაციონში შედის კალორიულად დაბალანსებული პროდუქტები, სადაც გათვლილია თითოეული ყველა ის კალორია, რაც მოზარდმა დღიურ ნორმაში უნდა მიიღოს, მათ შორის: თევზი, ქათამი, საქონლის ხორცი, ბურღულეული, ნატურალური რძის პროდუქტები და ა. შ. ხშირად ხდება ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ მონიტორინგი პროდუქტებზე, რათა პატარებმა ჯანმრთელად და უვნებლად იკვებონ.

– ქალბატონო მეგი, როგორია სან-ჰიგიენური მუშაობა აქვენს ბაგა-ბაღში?

– დიდი ყურადღება ექცევა აღსაზრდელების ჰიგიენური ნორმების დაცვას, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი ბაღის ჯანმრთელობისა და ჰიგიენის უზრუნველყოფის კოორდინატორს.

მინდა ასევე მოგახსენოთ, რომ გვეყავს მუსიკის ორი პედაგოგი, რომლებიც ზრუნავენ პატარების აღზრდაზე.

– როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

– ჩემი სამომავლო გეგმებია, უპირველესად, მე-10 ბაგა-ბაღის კიდევ და კიდევ მეტი წარმატებები, რასაც, ასევე, ჩემს კოლეგებსაც და პატარა აღსაზრდელებსაც ვუსურვებ.

ულამესი მადლობა. გისურვებთ წარმატებებს!

ესაუბრა, მარინა გურასაშვილი



სააღმზრდელი ჯგუფი, შემდეგ მას დაემატა 4 სასწავლო-სააღმზრდელი ჯგუფი. სულ სახეზე ირიცხება 178 აღსაზრდელი. ასევე მინდა გითხრათ, რომ მოხდა ჯგუფების დაყოფა, რადგან სტანდარტს ზევით გადაცილება იყო, რის გამოც ეს გადანეგეტილება მივიღეთ.

ჯგუფები გავყავით შუაზე და პედაგოგებს არჩევანის უფლება მივეცით, რომ პირველი ან მეორე დაეტოვებინათ. რის შემდეგ შეიქმნა ახალი ჯგუფები. გავითვალისწინეთ ისიც, რომ ბავშვებმა თავი უცხოდ არ იგრძნონ ახალ გარემოში, რის გამოც მეორე ცვლის პედაგოგი და პედაგოგის

ჩანს, ძალიან გიყვართ თქვენი საქმე...

– საბავშვო ბაღი ჩემი ცხოვრების ნაწილია, ჩემი შინაგანი სულიერი სამყაროა; დიდიან თითქმის საღამოს 7 საათამდე სამსახურში ვარ, რათა არცერთს მოაკლდეს ყურადღება და თუ საქმე მოითხოვს შაბათ-კვირასაც არ დავიხვე უკან.

ჩვენი ბაგა-ბაღში მოღვაწეობენ მრავალწლიანი სტაჟისა და გამოცდილების მქონე პედაგოგები. ისინი მუშაობენ როგორც წესია მთლიან, ისე 0,67 და 0,33 განაკვეთზეც.

– როგორც ვიცით, ბაგა-ბაღს ჰყავს ფსიქოლოგი, ლოგოპედი

ასე თუ ისე, ფსიქოლოგთან და ლოგოპედთან ერთად, საჭირო გახდა ბაგა-ბაღში სპეცპედაგოგის მოწვევა.

ჩვენს ბაგა-ბაღში მოღვაწეობს ორი სპეცპედაგოგი – აქედან ერთი ძველი და ერთიც ახალი კადრია. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ჩვენი შენობა ადაპტირებულია შშმ ანუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისაც.

– თქვენი მუშაობის ძირითადი და უმთავრესი კრედო...

– ეს არის აღსაზრდელებისადმი უდიდესი ყურადღება, რადგან თითოეული მოზარდის სიცოცხლე და ჯანმრთელობა უძვირ-



კობა ადგიუპილი

გარდავიცვალე მე უშენოდ, დამმარხე დროზე! და თან მიტირე, გულამოსკვნით ჩამოჯექე ლოდზე. თვალცრემლიანი მისჩერებისარ, წარწერებს ტირებს. ქვას ეფერები, სული ჩემი დაგყურებს მძიმედ.

გარდავიცვალე მე უშენოდ მიტირე ჩქარა! შენს სიყვარულში ეს ცხოვრება, არა არ კმარა! ტანს მოგისხია შავი ფერის, გლოვის ზენარი. შუბლზე, ცივ შუბლზე წაგიკრია ჩემთვის სუდარი.

საფლავის ბორცვს, რომ ეფერები თან მირგავ იებს. ცრემლით მომირწყე ყვავილები, გვალვაში ტიელს. ტანში გაციებს, წყაროს წყალიც ვერაფერს გშველის, როგორ გიხდება ეგ ცრემლები, რარიგად გამშვენის .

გარდავიცვალე! სამუდამოდ მოდი მიტირე! ეკალ-ვარდებში ჩამიქსოვე. ნახად თრითინებს. შენი ცრემლები გამაყოლე სუფთა ეული. და სიყვარული „გარდაცვლილი“ როგორც გრძნეული.

გარდავიცვალე მე უშენოდ დამმარხე მალე!!! თორემ დარჩება დრო განელილი, რა იქნა ხვალე? ბევრი ყვავილი დამაყარე მიტირე ჩქარა! სული ცრემლს ითხოვს, მოგონებას რალაც არ კმარა.

სანთელის შუქით გამინათე ქვაზე ტიტრები. ვხედავ შენ გრძობას, ცივ მინაზე ცეცხლში ვინვები. ვინვები იმით, რომ გიყურებ როგორ ტირისხარ. სული მსუბუქად გეფერება, შენ კი მიდიხარ.

გარდავიცვალე! არ მოიხედო თხოვნა ჩემი. მინდა დაგლოცო შენ მტირალი, მთავრდება ბნელი . გაგახსენდები, მომიგონე, აღარ მოხვიდე! იმ ყვავილებმა გაიხარა, ცრემლში რომ მირგე.

შუბლს მოიცილე ეგ სუდარა! აღარ გიხდება! გთხოვ გაიღიმე ოდნავ მაინც, შენ რომ გიხდება . თმაში ჭაღარა შეგამჩნიე, კვალთა თეთრის. ნელა დამტირი, გეყოს უკვე სავესა ცრემლით.

გარდავიცვალე! ოხ რა კარგად გარდავიცვალე! თან დავისვენე, მოვისვენე, და მივიცვალე. იწყება ღამე, მთვარის შუქი გინათებს თითებს . და ჩემს საფლავზე რალაც ხარობს, წააგავს „ტიტებს“

გარდავიცვალე! მე უშენოდ დამმარხე დროზე! დროც არ ჩერდება ეს ოხერი! მივეყვები მდორედ. კარი იღება საუკუნის წუთისოფლის, გესმის?! დამთავრდა გარდაცვალე, მორჩა ოხერი...

გარდავიცვალე მე უშენოდ გარდავიცვალე..

„სსათაყროდ“ ...

მოდი დავწეროთ ეს ცხოვრება გადავანეროთ... გადავახლოთ ამ ცხოვრებას სულ ერთი წამი. მოდი გავწყვიტოთ, ეს ცხოვრება გავაბათილოთ! რამე აუფი, ცოდვა თუნდაც, სევდა და ვალი!

მოდი შევწყვიტოთ უფლის გამობა დაუნდობელი! თითოეულ ჩვენგანს მოხდელი გვაქ ჩვენ ჩვენი ვალი... ჯოჯოხეთს, თუნდაც, ნუ შეაღებ ელვის სისწრაფით.. გამოცდა გველის! ლოცვის მეფეს დაუგდოთ თვალი.

მოდი დავწეროთ! ეს ცხოვრება გადავანეროთ. ხელებს ნუ იქნევ! ნუ ყვირისხარ! ხარ... ერთი წამი. მოდი გული ვთქვათ, სიბნელეში სარკმევ, სასმელი. მოდი დავიწყოთ ამ ცხოვრების ის ერთი წამი.

მოდი დავწეროთ ეს ლოდინიც გადავანეროთ ... იმ მოლოდინის, იმ ტკივილის, ცეცხლის და ალის. ლაგორითმები არ უშველის ამ „ს ო ე ზ ი ა ს“ თუ არ მოუხდა ღმირიანი მარული მტკნარი!

ზღვის პირას ვწეროთ ამ ცხოვრების ლექსი სიცოცხლე! ტალღებს უხდება მოქეიფე ლაშქარი ძმანნი! ტივზე ჩაუგდოთ, ბადე თევზი, კალმასს მოგართმევთ დავწეროთ ღვინო სანაახელი...ხატი და გვარი!

სადღეგრძელო ვთქვათ ორ გოეთეზე ჩაჭიდებული.. ჩვენი მეფების, არაგვ-ლიახვის, თამარის ლალის. ჩვენი მგოსნები, ჩვენი ანნა შუშლანს ამბები. ჩვენი დავითის, ჩვენი სვიმონ, ერეკლეს ხმალით!

გადავანეროთ ეს რითმები გადავანეროთ... გონებას გახსნის, ბრძოლის უნარს დალილი მგზავრის. თვითონ შემაკრთო. ორი ვინმე ვინამე მხოლოდ! უფალი ღმერთი და იდიოტი ეს ჩემი თავი.



კობა ოთარის ძე ადგიუპილი დაინადა ქალაქ სამტრედიანში. ზავშვობის დიდი ნაწილი აფხაზეთში კერძოდ, გულრიფშის რაიონის სოფელ ესტონკაში აქვს გატარებული. დაამთავრა ქალაქ სამტრედიის, ამჟამად, მეთერთმეტე საშუალო სკოლა. სწავლობდა ასევე ფიზიკა მათემატიკურ სკოლაში, შემდეგ კი ქუთაისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში. ამჟამად ემიგრანტიაში იმყოფება. **ნარმოვიდგენთ მისი შემოქმედების ნაწილს.**

ჩვენ ისევ დილით ნატერფალები, მყივრალი, სახე, ბიბილო ყურის, შენ! მე სიცოცხლე, დაგენაფები, „ეხლა ღამეა, საათი იწვის, აღარ უჩვენებს ისარი თორმეტს,“ ალბად, გაჩერდა წამი მარადის, მშვილდი „ცხოველი“ არაგვი მდორედ, მე, შენ და ის დღე... ოთხი საათი, სამი დუმილი სამი წამია ლაჟვარდოვანი, „ბარხატოვანი“ წარმიტაცნია .. გიშერ ზურმუხტი ისევ აღსდგება, დამწვარი ნავის ფერფლის საწყისი, კვამლია ჩემო, სურვილი თბილი მე მოგონებებს ვერ შეეგვებები. მე, შენ და ის დღე, მე, შენ და დარდი, შენი სითბოდან, ვერ დავეხსენი, სიყვარულსა გთხოვ, მე სიცოცხლეს გთხოვ, ალბათ, წყაროზე დაგესხებები, ღრუბელი იწვის. მე, შენ და ის დრო! ოთხი საათი, სამი წამია, მიყვარხარ სითბოვ, მიყვარხარ, სითბოვ! ჩემი ცა მეტი მე მიხარია.

ყინწისის ანგელოზი

მე მთაწმინდაზე ვდგევარ გეძახი, მე მინდა ცხოვრება წყურვილად ვაქციო, როდესაც ილიმი, მე მაშინ შეგნატრი შენ გევხარ იმ წუთში ჯოკონდას „ლაციოს“ მე მინდა მტკვარი რომ, თევზებით ავავსო და მინდა ბოროტი კეთილად ვაქციო. შენ გევხარ ქალთეფხას ოქროს ფერ ფარფლებით ეგ შენი თვალები გინათებს ალიონს. მე მინდა მთა ბარი დაეხატო ფანქრებით. მწვერვალი დავლაშქროთ გავსცქეროთ ჰორიზონტს... შენ ხარ! ჩემი ტკბილიც და სიმალლე, ახლოს ვართ ერთურთთან, თანაც ვართ შორი შორს.! მე მინდა ცხოვრება დავიწყო თავიდან , მოგარგო ლამაზო შენ დაფნის გვირგვინი. მე მინდა გკოცნიდე ნახად და თამამად . შენ კიდე ტკბებოდე ნაკოცნი დუმილით. მე მინდა სარკეში ხედავდე ანარეკლს.. როდესაც კიაფობს ვარსკვლავი სადა ხარ? ვდგევარ და გეძახი „ყინწისის ანგელოზს“ გამგვანებ ფრესკაზე ცივსა და ლამაზმანს. მე მინდა ბუნება შევავსო ფერებით, ზღვისფერი ლურჯი და წითელი ჩვენია. შენზეა ნათქვამი „ალგეთის ლეგენდა“ რომელიც ოდიდგან ხალხური ძველია.. ვდგევარ და მოგელი სივრცეში არ ჩანხარ! მე მინდა ცხოვრება! წყურვილად ვაქციო თითებზე გეფერო, ჩურჩულით თან და თან, მოგხვიო ხელი და... საჩემოდ გაქციო.

დროა! დაეშვას მნათე, დროა! მხსნელი იქმნას. დროა! რომ, საათის ისრებს დროა! საძირკველს დიდხანს.

მაძა მწყემსია კათაღიკოსი

ერის სინმინდე, ერის ნამუსი, ერის ბურჯი და, ის დიდი ვაზი. რასაც რომ ქვია, ჯვარი ნამუსის. ერის ხმა! კათალიკოსი მისი სევდა და მისი დარდა, ქართველი ერი იყოს ძლიერი! და მოვიშორეთ „ეშმას მანტია“ მ ა მ ა დიადი კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი მ ა მ ა მწყემსი და დიდი მოყვარე. ერი ცოდვა! ჰე, უწმინდესო, თქვენი „მიყვარხარო“ ლოცვად მოჰგვარე. ქართველი ერი, ნატრობს სიმშვიდეს, მაშას კალთაზე უდარაჯია, შვილები მისი, ყველა ქართველი, ერთი დიდ ცოდვას დაუტანჯია! კათალიკოსო, გთხოვთ, შეგვიბრალეთ, ვუძლებთ გამოცდას, დღენი გვშველიან, კრიალოსანი, „შენი კენესა მე“ სიყვარულისთვის შეგვიბნევი. დაგვლოცე მამა. მთელი ის დასი, ვისაც რომ მრეველი , სწორი გზით მიჰყავს ... ერის სინმინდე ! ერის სინდისი! მამა ი ლ ი ა არის მთაწმინდა ,

*** **ღრუბლებში** ცრიდა, წვიმდა უგონოდ, შენი სითბოთი მე ვიკვებები, მე მწამდა ის დრო, მე მიყვარს ის დრო! როცა ოდესმე მოგეფერები... ჩემო ფერიავ, შენ იაგუნდო, შენი სითბო მე! ვედარ უარვეყვე, მე შენ და ის დრო, მე შენ და ის დღე, ახალწლის ღამეს თეთრად ვილაღე.

*** **ნატრობს** სურვილი შენ, უშენობას, ჩემი სურვილი შენზე მეტია, აღარც ვარდები, აღარც ტიტები, ცაზე ღრუბლები და ცა მეტია. ღრუბლები გავდა „memento mori“-ს

*** **მდინარე** ზვირთო! წუთისოფელი სიცოცხლე! შავი თვალის არსო! თავისუფლება („სიბნელე“) მარადი არის როცა, ქარიშხალია სინათლე! გარდაუვალი თრობა. მწვანე ყვავილი სითეთრე! ვეძებ მდინარე, ვეძებ! ბზის ვარსკვლავება მინდა, კაშკაშა სხეულებია, მსახიობები მუდამ. დრონი მეფობენ, დრონი! კეისარი და მახვილი, გარდაუვალი ტანჯვა, ცხოვრება გახდა მარხილი! სად? გვინახია მნათობს, ოკეანეზე წმინდა, სამი გალობა ისმის ცაზე ქუხილი, გვრინვა. ნახდა ცხოვრება, ნახდა! ყური დამიგდეთ, გეტყვიო, ვეზირი ვასალს მიჰგვარეს! მტერი გაგვიხდა მეტნი. ცრემლებში ცურავს სიცივე, განსასვენებელს ითხოვს. (თეატრი) გოლგოთას მთაზე, მიკერძოებულ სითბოს. უღელტეხილი მძიმეთ! დააგორებდა ლოდებს. ზარის ხმა ისმის შორიდან. ჭაბუკი ქ რ ი ს ტ ე ლოცვებს, ბეთლემში ცისკარი მოსწანს! სარჩელს თაკილობს რისხვა. სანთელი იწვის იშვება. დედამინაზე წმინდა. ბაგაზე მიძინებულნი! ეხლა? რანი ვართ რანი? ქვებით ჩავქოლეთ მეფე! ტალახი ვაცხეთ თვალით. ვანამეთ, ცეცხლი შეუნთეთ, ვნებანი გახდა ოხვრა. სირცხვილ ნამუსის ვაშლი, გველს მიაწოდეს ცოლად! დრონი მოვიდა, დრონი! გამოფხიზლება ერის! მარგალიტების ქვეყანავ, ყიზილბაშია ბევრი. ოდეს დემონი ითხოვს. წარსულს დაუგეს მახე, ფარისეველი უფროა! პონტი-პილატე! ბაგე. ფუჭი უფშური ხანა, მშობელი შობილს მოსავს! ჯვარი აწოდეს დედას. გადარეული ფრთოსანს. რა ვქნათ? არ ვიციოთ რატომ? მზე ელვარებას ითხოვს . ქვეყანას „ჭკუა“ მოკვეთეს! აზვირთებული პირმშო. რატომ, რისთვის და როგორ?! მთვარე დაეშვა ციდან. გაბრწყინებული სული გაბრწყინებული დიდხანს... აცისკროვნებდა ნათელს, საზრდო სურვილი დიდი! ამა სოფლისა გმირებს !! განთიადი და გიჟი. წამი წამწამი თოვლზე, დნება აწვიმდა დროს . ბრძოლის ველი და ომი. საყვარელ რითმებს თმობს,

ფსიქოლოგია

შალვა ამონაშვილი: რჩევები პედაგოგებს „ბავშვის გაზრდა შეუძლია მას, ვინც თვითონაც იზრდება!“



• ჰუმანური პედაგოგიის საფუძვლები, ბავშვებთან სწორი მიდგომა, ბავშვების, საგნისა და სკოლის სიყვარული — ქართველმა პედაგოგმა და ფსიქოლოგმა შალვა ამონაშვილმა 500-მდე პედაგოგს სემინარი ჩაუტარა და ბევრი მნიშვნელოვანი რამ გაანდო მასწავლებლებს, რაც მისი აზრით, აკლია დღევანდელ სკოლას. გთავაზობთ, რამდენიმე ამონარიდს შალვა ამონაშვილის პრაქტიკული რჩევებიდან:

მოვლენა. • გყავთ კლასში ცელქი, მოუსვენარი ბავშვები? ის მასწავლებელი გახდება საუკეთესო, რომელიც ზუსტად ასეთ ბავშვს დააყენებს საკუთარ ბილიკზე, თავს შეაყვარებს და მისი ცხოვრების მასწავლებელი გახდება და თუ გული გიძგერს და ხარ ადამიანი, არ შეიძლება ასეთ ბავშვს ხელი ჰკრა! • ყველა ბავშვს უნდა დიდობა, განვითარება და თავისუფლება! • ცხოვრებაში ყველას ელოდება ერთი მასწავლებელი, რომელიც ცხოვრების მასწავლებელი გახდება, იყავით ასეთი თქვენ! • ბავშვი ვერ გამოვა მოაზროვნე, თუ მხოლოდ გისმენთ, იწერს და გაკვეთილს გაბარებთ. დღევანდელი ბავშვები ამ მწირ ჩარჩოებში ვერ ეტყვიან. ისინი არიან სინათლის ბავშვები და თქვენ კი სინათლის მასწავლებლები უნდა იყოთ. ბავშვები კი არ არიან ჰიპერაქტიურები, მასწავლებლები არიან ჰიპერპასიურები. • დღევანდელმა სკოლამ „აღზრდა“ გამოაძევა სკოლი-

დან, დარჩა მხოლოდ „სწავლება“. • ავტორიტარული პედაგოგიის მიმდევარ მასწავლებელს უნდა, რომ ბავშვები მასზე მორგებულნი იყვნენ — ისინი მოქმედებენ მართვის ფსიქოლოგიით. მასწავლებელმა ბავშვი კი არ უნდა განვრთნას — უნდა აღზარდოს! • პატივი ეცით ბავშვის უცოდინრობას, განა თქვენ ყველანი ათოსანი მასწავლებლები ხართ? • თითოეულ ბავშვს აქვს თავისი გზა და ბილიკი, სანამ ამ ბილიკზე დადგება, მას ბევრი წინააღმდეგობა შეხვდება. ნუ აურჩევთ შვილებს პროფესიებს, ეს მათი არჩევანი უნდა იყოს. დაე, ცხოვრების განმავლობაში

რამდენჯერაც მოესურვებათ, იმდენჯერ შეიცვალონ პროფესია, სანამ თავის ბილიკს არ დაადგებიან. • საგნები დღეს რა მეთოდებითაც ისწავლება, ეს არის დღევანდელი არასწორი სტანდარტების ბრალი, ჩვენ გაკვეთილებზე ბავშვს ცოდნათა სასაფლაოზე დავატარებთ, სადაც საგნებია დამარხული, არანაირი სიცოცხლის ნიშანწყალი არ აქვს და მოვალეობის მიზნით უნდა ახსნათ და მათ ისწავლონ. • საკუთარ თავთან მიიყვანეთ ბავშვები, გაკვეთილების გარდა ისიც კითხეთ, რა უყვარს, რა უხარია, რას გრძნობს, რა ხდება მის სულში. • ბავშვს განვითარებისთვის

სჭირდება ფიქრი, იდეები, ჰიპოთეზები, აზრები, აზროვნება... ნუ მისცემთ მათ გამზადებულ პასუხებს. • ბავშვს მოექცით ისე, როგორც თანასწორს. • ბავშვს ყოველდღე საჩუქრად მიართვით გაკვეთილი, გააოცეთ, შეაყვარეთ თავი. • ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჩაცმულობას, დგომის პოზას, საუბრის ტონს, შესტებს, მიმიკებს. ბავშვები ყველაფერს ამჩნევენ, თქვენს თითოეულ მოქმედებას. • ბავშვთან ურთიერთობის ერთადერთი გზა — მეგობრობაა! • ბავშვის გაზრდა შეუძლია მას, ვინც თვითონაც იზრდება! • თითოეული ბავშვისთვის მასწავლებელი უნდა იყოს თავშესაფარი, საყვარელი ადამიანი, მესაიდუმლე, მეგობარი, დამცველი. • ყოველთვის გახსოვდეთ დავით გურამიშვილის ეს სიტყვები და ეცადეთ, რომ თქვენმა ყველა მოსწავლემ იცოდეს: „ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, ნავა სად-აო“.



სახსტილოც და სატირალიც

სამი პაროდია

მოდან გარდამავალი და მუცღმივი

რა ჯობია ლამაზ ქორორს! ნიკას მშვენიერი თმა ძალიან უხდებოდა. ვის არ უხდება იგი. მაგრამ ბუნება ბევრს ჭაბუკობაშივე ამელოტებს. ქაჩლები თმის კომპენსაციას წვერ-ულვაშის მოშვებით ახდენენ. ბევრს მღვდელივით მოუშვია. ზოგი ნიკაპნალამოკრულს გაავს, ზოგიერთი კი ოჩოკოჩივით (ტყის კაცივით) დადის... - აი, რა ყოფილა მოდაო!.. და ნიკა ორ თვეში თავმოტვლეპილი, წვერგაბურძღნული აწონებდა თავს მუხლებზეშარვალგამოღლეტილ გოგონებს. უფრო რომ მიიხედ-მოიხედა, შეამჩნია, მამაკაცებს გრძელი თმები ქალის ნაწნავებით ჰქონდათ ბანტით შეკრული. „რუსთავი-2“-შიც ნახა ასეთი წამყვანები. - ავჩქარდი, ლამაზი ქორორი რომ მოვიშორეო. - მწარედ ინანა ნიკამ.

„ყავას“ პრემია

მოუნდა გიგას პოეტობა და პოპულარობა: ლექსის წერას რა უნდაო, რითმა, რიტმი და მისი ჯანო. ჟურნალ-გაზეთებში რამდენიმე ლექსიც გაახერხა, მაგრამ „სორე“ სახელი და დიდება? იქვე, ახლოს იყო ლიტკლუბი „ყავა“. იმართებოდა კონკურსები. მსუყე პრემიებიც ჰქონდათ. გიგა მარიფათიანი ბიჭია, მიდგა-მოდგა და ნაცნობი გამონახა. გაიგო, საკონკურსო ნომინაციებში

საკონკურსო ლექსები არ იყო წარმოდგენილი. „მოდან, ერთი, „ბასტი-ბუბუ“ გავრითმოო!“ ბევრი იჭყლიტა ტვინი, მაგრამ კაშკაშა რითმებს ვერ მიაგნო. გაახსენდა ნაცნობი პოეტის ნათქვამი: „მუზა ტულეტში მომდისო“. მაშინვე შევარდა და... ჩუ! ვილაცამ უნიტაზიდან ამოსძახა: „ბასტი-ბუბუ“ შეაბრუნეო! შეაბრუნა და აი, აენყო ლექსი. „ბუბუ-ბასტი ბუბუ-ბასტი, მინდა გავხდე „ყავარასტი“, რომ არ გითხრან „ფანდარასტი. არ გამპასტონ შავი პასტი“. ასე რაკრაკით ბოლომდე ჩავიდა. კლუბ „ყავაზე“ რომ არაფერი ვთქვა, განა შეიძლებაო? და აი, ისიც: „კლუბი „ყავა“, „კლუბი „ყავა“, „ყავამ თუ არ დამიყვავა, მაშინ ვავა! კიდევ ვავა!“ ამით ვერ გავიმარჯვებ. საბავშვო ლექსებია მთავარი. ჰოდა, დაეპწკარა ქალაღლს ლექსები: „ოცი ბუ და ათი ბატი, რამდენია, ჩემო ფატი? დავუმატოთ ასი კვატი, აბა, გამოიცან, რატი!“ რახან მუზა გაიხსნა, რა გააჩერებდა? „ბევრი პური, ბლომად ქადა, მომემატა ჭამის მადა, მაგრამ ეს კუჭს გაუხარდა? კუჭი მალე დაავადდა...“ ეს ხომ სიახლეა - ეკოლოგიისა და მედიცინის პრობლემებს შევეხებო. ასე შეაქურა ლექსები და გვარიანი კრებული გააშანშალა. პრეზენტაციასზე კრიტიკის კორიანტელს იოლადა გადაურჩა, თუმცა ორი მწვავე შენიშვნა მაინც დაიმსახურა: ცოტა არ იყოს, სხვა პოეტის ხმა გვესმისო. მეორე ნაკლი იყო უფრო სახიფათო: სექს-ტერმინებს გამოყენებასა და ბილნსიტყვაობაში სერიოზულად მოიკოჭლებო. საკონკურსოდ წარდგენილ ნიგნში ყველა ხარვეზს

აღმოვფხვრიო, - შეპირდა ჟიურის წევრებს და გახდა გიგა „ყავას“ პრემიის ლაურეატი.

მეპროსპექტებო!

„რუსთველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა. დე, მუდამ ვიყო ასე მხიარული!“ ინატრა პოეტმა ერთმა. ეს ძველად, მაშინ ლადოს დრო იყო. დღეს სხვა ხალხია: თიკო, ზალიკო... დღეს ვინ კითხულობს გრანელს, მალარმეს, აქ აკეთებენ რაღაც სხვა რამეს. კაცს მოუშვია თმები ძალიან, განა კაცსა ჰგავს? უფრო ქალია. ჯგროდ მიმოდიან გოგო-ბიჭები, უჩანთ მუხლები, უჩანთ ჭიპები. - არ მოგნონს ტურფა მარი თუ ანა? მაშ გყვარებია მარიხუნა. - ოჯახი - არა! არ გსურს ნასტია. შენთან ახლოა პედერასტია. თქვენ, მომავალ თაობაზე, ჩვენო, კარგია დიდი ევროკავშირი, მაგრამ ამ დიდსა ევროკავშირსა გერჩიოთ ფოთი, ვაქირ-კვახჩირი. აღარ აბოლოთ მარიხუნა, აღარ გასინჯოთ ნარკო არცერთმა! რუსთველის პროსპექტზე მაშინ სიარული ნუ მოგიშალთ მაღალმა ღმერთმა!

ახალი წლის ჰანუბია

მოსწავლის შემოქმედება

გული როგორ გაუძღვება

ნიჭის ნაპერწკალი რომ აელვარდეს



პოპულარულმა საბავშვო პოეტმა ლეილა ვადაჭკორიამ შობა-ახალი წელი დიდებული ნობათით მიულოცა – მალე გამოვა მისი ლექსების კრებული. თუმცა, ზუსტად ამ დროისთვის ვერ მოესწრო ნიჭის გამოცემა. სანამ ნიჭი დღის სინათლეს იხილავს, მანამდე პოეტს გულმა როგორ გაუძღოს, რომ დიდი დღესასწაულები არ მიულოცოს საყვარელ პანებს.

ლეილა ვადაჭკორია

შობის რამე

მთელ ქვეყანას ეფინება მათი შუქის ნათელი, ფანჯრებთან რომ ციმციმებენ შობის ღამეს სანთლები.

მოფუსფუსე ბებიკო და საშობაო ღვეზლები, ბაბუ გვლოცავს, მეყოლეთო ჯანმრთელი და დღეგრძელი.

სიხარულით ცას სწვდებიან დედიკო და მამიკო, ნახეთ, შობას გვილოცავენ ალილოო... ალილო.

ჩვენც გილოცავთ შობასაო ლოცვითა და გალობით, ქრისტე იშვა ბეთლემსაო, მაღალ ღმერთის წყალობით.

ახარი წერი

მოვრთეთ დიდი ნაძვის ხე და ჩიჩილაკიც მზად არი, მეკვლე კართან გველოდება, თოვლის პაპაც აქ არი.

მოდი მალე, რალას უცდი, მოდი, წელო ახალო, გოზინაყს ხომ ბევრს მოგართმევთ, ჩურჩხელებს – ვერ დათვალაო.

არ მოგაკლებთ ცეკვა- თამაშს, ლექსებს ნაირფერადებს,

ქართულ სიმღერებს გიმღერებთ, გულებს გაგიფერადებთ.

გიგი ფიქრობს

ტანსაცმელი იგივეა, ხურჯინიც კი იგივე, გულში ჩუმად ღლინებს, მას ჰგავს, რომ გაიღიმებს.

ესეც ლოყებდაბრანული, გრძელი, თეთრი წვერითა, მგონი, მამი, შარშანდელი თოვლის პაპა მოვიდა.

სახარბილო ოცნება

თოვლის პაპა მოვიდა, ოჰ, რამხელა ხურჯინით... გაუგია, მამიკო და ბავშვები რომ ვუცდიდით.

ყველას ჩამოგვირიგებს ნაირ-ნაირ საჩუქრებს, ნიკა ნატრობს, ნეტავი, აიფონს თუ მაჩუქებს.

ჩვენი გაზეთი ხშირად უთმობს ადგილს პედაგოგთა და მოსწავლეთა მხატვრულ შემოქმედებას, ზრუნავს მათი ნიჭის ნახალისება-განვითარებისათვის.

პუშკინი წერდა: „აქედან ვხედავ ნაკადების მე დაბადებას“. ჩვენც ნიჭის ნაპერწკალი დავინახეთ ნია ჭუმბურიძის გამოგზავნილ ორ მშვენიერ ჩანახატში. აღმოჩენილი ნიჭის ნაპერწკალს კი მოფერება, სულის შებერვა უნდა და იგი თავის დროზე აელვარდება.

პატარა ნია რუსთავის 24-ე საჯარო სკოლა-გიმნაზიის (დირექტორი მანანა გოგოლაძე) მეოთხეკლასელია. ძალიან უყვარს თავისი პირველი მასწავლებლები: ლალი არბელიძე და მარინე ვადაჭკორია, რომლებმაც „შეასწავლეს ანი-ბანი, შეაყვარეს დედა ენა, თავს ევლებათ, ფრთებს უსწორებთ, რომ თამამად შეძლოს ფრენა“.

ორი რჩევა უნდა მოგცე, ჩემო ნია: დაკვირვებით და სისტემატურად იკითხე საბავშვო ჟურნალი „დილა“. მეორე რჩევა კი მუხრან მაჭავარიანისაა: „გაიყვარდეს სამშობლო, სიმართლე გაიყვარდეს, გაიყვარდეს, გაიყვარდეს“.

ნიჭი. რაც უნდა ისურვო, რაც უნდა ინატრო, ესაა – ყველაზე დიდი“. აბა, ჰე, გზა დამილოცნია!

რედაქტორი

ნინის ზღაპარი

გიაგობოთ გოგონაზე, რომლის სახელია ნინი. ნინი ბუთქუნა, ნანწვებიანი პატარა გოგოა, ძალიან უყვარს ღამე, რადგან ძილის წინ დედა მის მიერ მოგონილ ზღაპარს უყვება.

ერთ ღამეს ნინი სწრაფად ჩანვა ლოგინში, დედამ ზღაპრის თხრობა დაიწყო ელენეს თავგადასავალზე. ზღაპარში, როცა ელენე ნაიქცა და ფეხი იტკინა, ნინი დალონდა და დედას უთხრა: დედი, ელენეს ფეხი ძალიან ხომ არ ეტკინა? ხომ არ წავიდე და ფეხზე ვაკოცო? შენ ხომ ამბობ, ჩემი კოცნა ისეთი თბილია, რომ ნატკენს აუცილებლად მოაშუშებსო. დედამ გაუღიმა და უთხრა: რაც შენ თქვი, ჩემო გოგო, მართალია, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ზღაპარია, ამიტომ ელენეს ფეხი სინამდვილეში არ სტკენია.

დილით ნინი ბაღში რომ წავიდა, ჯგუფელებს ჰკითხა, ფეხის ტკივილი ძალიან მტკივნეული არისო? ზოგმა კიო – უპასუხა, ზოგმა – არა. ნინი დაინტერესდა, ეს ამბავი როგორ დამთავრდებოდა. ნინის დედამ უთხრა, რომ დღეს დამთავრდებოდა ეს ამბავი. ეწყინა, იმიტომ რომ მალე დამთავრდებოდა. ნინი დაწვა, დედამ მოუყვა ზღა-



ნია ჭუმბურიძე

პრის დასასრული. ნინის ისე მოეწონა, რომ თვალები ვარსკვლავებით უციმციმებდა. დედა შეპირდა, სვლიდან ახალ ზღაპარს გაიმბობო.

გამორჩეული დღე

რუსთავის ერთ-ერთ ღამაზე სახლში ცხოვრობს ნია. ნია ვინაა? ნია არის გოგონა, რომელიც კითხულობს ნიგნს „პეპი გრძელი წინდა“.

ერთ დღეს ნია აივანზე იჯდა და მზესუმზირას აკნატუნებდა. ამ დროს თავში ერთმა იდეამ გაუელვა. მას მოუნდა გამხდარიყო პეპი გრძელი წინდა. სასწრაფოდ დედამ ჩაუნწა ნანწვები და ეზოში გაიქცა. იგი მართლაც დაემგავსა პეპის. ბავშვებს მართლაც პეპი ეგონათ. ნიამ ასევე პეპივით ქცევის გარდა ბავშვებს მისი ისტორიებიც მოუყვა.

ძალიან კარგი დღე იყო. იგი სახლში რომ მივიდა და ეზოში გატარებულ დღეზე დაფიქრდა, მიხვდა: „ნუ იქნები სხვა, მაგრამ თუ ეცდები სხვა იყო, ნუ ინვალებ. შენ მაინც ის დარჩები, ვინც ხარ“.

მოყვანი

ჩვენი მეგობარი – პავლე მურადაშვილი – 80



მეგობრობის შემძლეობა ღვთიური ნიჭია. მხოლოდ რჩეულთა ახსიათებთ ამგვარი შემძლეობა, რომელსაც საგანგებო ძალისხმევითაც კი ვერავის ასწავლი.

ეს უნდა მოგდგამდეს ადამიანს. სხვისი სიხარულით გახარება, სხვისი დარდის გაზიარება უნდა შეგეძლოს, სხვისი დახმარება სიამოვნებას უნდა გგვიტანდეს.

ამგვარი ნიჭით არის დაჯილდოებული ჩვენი მეგობარი პავლე მურადაშვილი.

საქართველოს დიდ ისტორიულ ეზოში იგი ყველას მეგობარი და მასპინძელია. ადამიანები კი არა, ჩვენი „უმცროსი ძმები“ – ცხოველები და ფრინველებიც ახლობლობენ მასთან. ასე რომ არ იყოს, ყვავები ყოველდღე კაკლებს კი არ მოუტანდნენ, რომელსაც ჩვენც, მის მეგობრებს გვინანილებს ხოლმე. ამ საოცრე-

ბაზე მწერალმა ნარო კოხლემა მოთხრობაჲ კი დაწერა – „პავლე პაპას კაკლები“.

ჩვენც ამიტომ ვაძლევთ თავს უფლებას, ფამილარულად ველაპარაკოთ, თორემ ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეზე (თურქოლოგზე), განათლების ამგვარ მუშაკზე, იქნებ, უფრო აკადემიურად უნდა გველაპარაკა.

ამჯერად მისი შრომით-შემოქმედებითი მოღვაწეობის ფაქტობრივ დეტალებზე არ ვილაპარაკებთ, რადგან ეს ისედაც იცის საზოგადოებამ. აი, 90-ის ან ასი წლისა რომ მოიყრება, მაშინ დაწვრილებით მოვუთხრობთ

მკითხველს მის ნაშრომ-ნამოღვაწეობაზე.

ახლა კი... „გაუმარჯოს პავლესა...“ ამას რომ მისამღერი მოსდევს, ის ჩვენს მეგობარ პავლეს არ ეხება; ის თუ დაასხამს ან დასასხმელს შემოდგამს მაგიდაზე ჩვენთვის ირჯება მაშინ.

ასე ხდება ხშირად: საიუბილეო თარიღი შეუსრულდება თუ არა-საიუბილეო ან სხვა მიზეზთა გამო მის შესანიშნავ მეუღლეს, ქალბატონ ციალას, ისეთი ნუგბარ-ნუგბარები გამოუტანებია ჩვენთვის, რომ ორი თუ სამი დღე აღარც საშინაო და აღარც საგარეო პოლიტიკა გაგვხსენებია...

დღეგრძელი და მზეგრძელი ყოფილიყოს ჩვენი მეგობარი პავლე მურადაშვილი, ერთი ოცი წელი ამ დიდ ეზოში – „კოსტავას ეზოში“ რომ მოიხსენიებენ დღეს და კიდევ ერთი ამდენი – იქ, სადაც დიდებული მარანი აქვს გამართული ავტოფარეხში.

სიყვარულითა და პატივისცემით:

ზურაბ ქობალია, ზურაბ შაუთიძე, ზურაბ ადამია, ზურაბ ცუცქერიძე, ბორის მიშველაძე, ჯემალ კასრაძე, ზურაბ მამულაშვილი, თამარ ანდრიაძე, აგრეთვე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ და ჟურნალ „დილის“ რედაქციები.

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე 555 596 050 გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“ ს/ს 402010587 ს/ს თბილისი ბანკი: GE 94 TB7249236080100007

რედაქტორია ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიქერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 599 944 592; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეტონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; გერმანე საზანოელი 599 567 115 თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48; ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com ტელ: (032) 2 99 80 00 (032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N1 (4592) 29 იანვარი / 2020 წელი გაზეთი გამოდის 1928 წლიდან ISSN 1987-9113 9 771987 911009